N468 2015 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ მომსახურების გაწევის სახეები, ვადები და საფასურები თანდართული დანართების შესაბამისად:

ა) კვლევები (დანართი №1);

ბ) ბაქტერიოლოგია და სანიტარიული კვლევები (დანართი №2);

გ) ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადები და საფასური (დანართი №3).

2. ყველა განსაკუთრებით საშიში პათოგენისა და ეპიდემიოლოგიურად მნიშვნელოვანი საეჭვო კლინიკური შემთხვევის დროს დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2 დანართით განსაზღვრული სერვისები არის უფასო.

3. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული №1 და №2 დანართებით განსაზღვრული მომსახურების საფასურები დაინტერესებული პირის მიერ რეაქტივებითა და სახარჯი მასალებით სრულად უზრუნველყოფის შემთხვევაში მცირდება 30%-ის ოდენობით.

4. საფასურის ეტაპობრივი გადახდის საკითხს წყვეტს ცენტრის გენერალური დირექტორი.

5. გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნება განხორციელდება შემდეგი წესით:

ა) თუ მომსახურების საფასური გადახდილია დადგენილი საფასურის განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს დაუბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილი საფასურის განაკვეთს შორის;

ბ) გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ბ.ა) ცენტრი, კანონიერი საფუძვლის არსებობისას, უარს აცხადებს მომსახურების განხორციელების თაობაზე;

ბ.ბ) დაინტერესებული პირი ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის დაწყებამდე წერილობით განაცხადებს უარს მომსახურების მიღების თაობაზე;

ბ.გ) ცენტრმა მომსახურება არ განახორციელა დადგენილ ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ცენტრი ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობებს დაინტერესებულ პირს მომსახურების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ და სრულად უბრუნებს გადახდილი მომსახურების საფასურს;

დ) ცენტრის მიერ მომსახურების დაწყების შემდეგ გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება;

ე) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაინტერესებული პირისათვის მის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნება ხდება 10 კალენდარულ დღეში.

6. ამ დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ ცენტრისათვის დადგენილი წესით, მიმართვის მომენტიდან. მიმართვის სტანდარტული ფორმა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები რეგულირდება ცენტრის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**